ერაზმუს+ის პროგრამის სტიპენდიები Radboud-ის უნივერსიტეტში (ნიდერლანდების სამეფო)

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ის პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად Radboud-ის უნივერსიტეტში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ GIPA-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს. კონკურსის შედეგად შეირჩევა 2 საუკეთესო სტუდენტი.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებეული უნდა ჰქონდეს სწავლის ერთი წელი, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტს ერთი სემესტრი;

კრედიტების აღიარება: Radboud-ის უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა კონკურსში განაცხადის წარდგენამდე წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ინგლისურენოვანი საგნების ჩამონათვალი სასწავლო მიმართულებების მიხედვით:

https://www.ru.nl/prospectus/management/exchange/autumn-semester/

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

-ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით)
-სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა)
-ერთი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, ხელმოწერით დამოწმებული)

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 15 მარტის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

- დოკუმენტაციის შემოწმება;
- გასაუბრება აპლიკანტებთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 საუკეთესო აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მაღალი GPA
- ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
- დახასიათება/რეკომენდაცია
- აპლიკანტის მოტივირება

სტიპენდიის ხანგრძლივობა:
ერთი სემესტრი (2019/2020 წლის შემოდგომის სემესტრი: 2 სექტემბერი, 2019 - 31 იანვარი, 2020)

სტიპენდია მოიცავს:
ყოველთვიური სტიპენდია 750 ევროს ოდენობით + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება.

შერჩეულმა სტიპენდიანტებმა თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლისა და ყოველთვიური საერთაშორისო დაზღვევის ხარჯები!

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!